<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ივერი ფრანგიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, კახაბერ თავგორაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ივერი ფრანგიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, კახაბერ თავგორაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 5318 | გეოგრაფიული (გრძედი,განე

კახაბერ თავგორაშვილი

(1976-2008)

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლი, სერჟანტი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი.

კახაბერ თავგორაშვილი 1976 წლის 23 ივნისს ქალაქ რუსთავში დაიბადა. ბავშვობიდან ჯარისკაცობაზე ოცნებობდა. ლიცეუმი, რომელიც კახამ დაამთავრა, დღეს მის სახელს ატარებს... სკოლის დამთავრების შემდეგ, შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის საერო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. პირველი კურსის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახურმა მოუწია. როგორც დედისერთას, ჯარში წასვლა არ ეკუთვნოდა, მაგრამ თავისი ნებით წავიდა და მოიხადა სამხედრო ვალი.

1994 წლიდან 2 წელი სოფელ მუხროვანის უშიშროების ნაწილში მსახურობდა. სავალდებულო სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ, სპეცდანიშნულების დანაყოფ „ალფაში“ გადაიყვანეს.

1999 წლის ნოემბერში აშშ-ში კვალიფიკაციის ასამაღლებლად წაიყვანეს, სადაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სწრაფი რეაგირების სპეციალური კურსები გაატარეს. ჩამოსვლისთანავე ანტიტერორისტულ დანაყოფში დაიწყო მუშაობა. სპეციალობით ამფეთქებელი იყო.

2005 წლიდან თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა.

ბოლოს, 8 აგვისტოს ნიქოზთან თავის მეგობარს შეხვედრია. 9 აგვისტოს კი გორის სამხედრო ჰოსპიტალიდან გარდაცვლილი ჩამოვასვენეს რუსთავში. როგორც მეგობრები იხსენებენ, კახაბერ თავგორაშვილი პირადი შემადგენლობისთვის თავისი დისციპლინით, შრომისმოყვარეობითა და თავმდაბლობით კარგი მაგალითის მიმცემი თანმებრძოლი იყო.

2000 წელს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენითა და მხედრული მამაცობისთვის დააჯილდოვეს.

2006 წელს გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ჯილდო გადასცეს.

გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.